

**სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო“-ს
სატენდერო კომისიის სხდომის
ოქმი №1**

ქ. თბილისი

17 იანვარი, 2019 წელი

სხდომას თავმჯდომარეობდა:

კომისიის თავმჯდომარე; ვახტანგ შავგულიძე.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ:

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე: ხათუნა გოგოხია.

კომისიის წევრები: ნონა წიკლაური, ალექო ბოგვერაძე.

აპარატის წევრები: ანა ხარებავა (სხდომის მდივანი).

დღის წესრიგი:

სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ მძღოლთან ერთად, სატრანსპორტო საშუალებების დაქირავების მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით, აუქციონის გარეშე ელექტრონული ტენდერის (NAT) ჩასატარებლად სატენდერო დოკუმენტაციის განხილვა, დამტკიცება და შესყიდვის სავარაუდო ღირებულების განსაზღვრა.

მოისმინეს კომისიის წევრის, ვახტანგ შავგულიძის გამოსვლა:

სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს“ შესყიდვების სამსახურში წარმოდგენილია სააგენტოს ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსის ლია კვირჭიშვილის 2019 წლის 16 იანვრის №122120/17 მოხსენებითი ბარათი, რომლის თანახმად სააგენტო საჭიროებს მძღოლთან ერთად, სატრანსპორტო საშუალებების დაქირავების მომსახურების შესყიდვას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შესყიდვების სამსახურმა მოამზადა და სატენდერო კომისიის წევრებს გადასცა სატენდერო დოკუმენტაციის პროექტი, რომელიც არის გაერთიანებული CPV60170000 კლასიფიკატორის კოდში.

ამასთან, სატენდერო კომისიის წევრებს შესყიდვის სავარაუდო ღირებულების განსაზღვრის მიზნით, გადაეცათ ბაზრის კვლევის შედეგები.

განხილეს:

სატენდერო კომისიის წევრებმა აღნიშნეს, სახელმწიფო შესყიდვასთან დაკავშირებით წარმოდგენილი სატენდერო დოკუმენტაცია მისაღებია.

ბაზრის კვლევისას დაფიქსირებული ფასების განხილვის შედეგად სატენდერო კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება შესყიდვის ობიექტის ჯამური სავარაუდო ღირებულებად განისაზღვროს 12900 ლარი.

კომისიამ დაადგინა:

1. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12¹ მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად სატენდერო კომისიამ დამტკიცა წარმოდგენილი სატენდერო პირობები.
2. შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებად განისაზღვრა 12 900 (თორმეტი ათას ცხრაასი) ლარი.
3. შესყიდვის ობიექტის ერთგვაროვნება განისაზღვრა შემდეგი კლასიფიკატორის შესაბამისად: CPV60170000 - სამგზავრო სატრანსპორტო საშუალებების დაქირავება მძღოლთან ერთად.
4. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შესყიდვების სამსახურმა უზრუნველყოს მძღოლთან ერთად, სატრანსპორტო საშუალებების დაქირავების მომსახურების სახელმწიფო

შესყიდვაზე ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშეს (NAT) გამოცხადება არაუგვიანეს
2019 წლის 17 იანვრისა.

სატენდერო კომისიის წევრები:

სატენდერო კომისიის თავმჯდომარე – ვ. შავგულიძე



კომისიის თავმჯდომარის მოადგილე - ხ. გოგოხია

ხ. გოგოხია

სატენდერო კომისიის წევრი – ნ. წიკლაური



სატენდერო კომისიის წევრი – ა. ბოგვერაძე

ა. ბოგვერაძე

სატენდერო კომისიის აპარატის წევრი - ა. ხარებავა (სხდომის მდივანი)

ა. ხარებავა